



ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება #15

ქ. ახალციხე

20 მარტი 2015 წ.

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ა/მანქანა VAZ 21214 (სარეგისტრაციო ნომრით JCJ – 625, გამოშვების წელი 2007, ფერი თეთრი, ძარის N1848950, ძრავის N8591688) ა(ა)იპ „ახალციხის მელიორაცია“-ზე უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის და ა (ა)იპ „ახალციხის მელიორაციის“ 2015 წლის 06 მარტის N11 შესაბამისად ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

მუხლი 1

მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობას, სამსახურეობრივი საჭიროებიდან გამომდინარე უსასყიდლო სარგებლობით - თხოვებით, მოქმედი საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით გადასცეს ა(ა)იპ-ს „ახალციხის მელიორაცია“-ს ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ა/მანქანა VAZ 21214 (სარეგისტრაციო ნომრით JCJ – 625, გამოშვების წელი 2007, ფერი თეთრი, ძარის N1848950, ძრავის N8591688).

მუხლი 2

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მეზღვილის ქ. N62).

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ლომიძე